## სამართლის პრაქტიკოსთათვის

- დაუკავშირდით მსხვერპლებს: ითანამშრომლეთ მსხვერპლთა ჯგუფებთან, რათა მიიღოთ მათგან ინფორმაცია და უზრუნველყოთ მათი გამოცდილების სათანადოდ ასახვა მიდგომებში, კანონმდებლობასა და საბრალდებო დოკუმენტებში.
- გააღრმავეთ ექსპერტიზა: გააღრმავეთ სამუშაო გუნდის ექსპერტიზა, მაგალითად, მასში ჩართეთ ანთროპოლოგები და სოციალური მეცნიერები.
- გამოიყენეთ კანონის შესაძლებლობები სრულად: გამოიყენეთ კრეატიული, დახვეწილი და პროგრესული სტრატეგიები, რათა გაფართოვდეს პასუხისმგებლობა, მოპოვებული იყოს ამომწურავი და საკმარისი მტკიცებულებები სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე.
- გააზიარეთ ცოდნა: მონაწილეობა მიიღეთ ღონისძიებებსა და მრგვალი მაგიდის განხილვებში სხვა პრაქტიკოსებთან ერთად, რათა შეიმუშავოთ საუკეთესო პრაქტიკები. გაავრცელეთ პრინციპები თქვენს ქსელში. გამოიყენეთ და მიუთითეთ პრინციპებზე ტრენინგების კურიკულუმებში.
- დაატრენინგეთ პერსონალი: დარწმუნდით, რომ ყველას ჩაუტარდა ტრენინგი სექსუალური ძალადობის შესახებ. შექმენით ისეთი გუნდი და სამუშაო გარემო, რომელშიც სექსუალური ძალადობის მიმართ მგრძნობელობა არის მაღალი.
- გამოიყენეთ სმარტფონის აპლიკაცია „BIS” - სისხლის სამართლის საერთაშორისო დანაშაულების ძირითადი საგამოძიებო სტანდარტის შესახებ აპლიკაცია - The Basic Investigative Standards for International Crimes (BIS) - შეიცავს საერთაშორისო დანაშაულების გამოძიების მინიმალურ სტანდარტებს, რაც ამაღლებს გამოსაყენებლად ვარგისი რელევანტური მტკიცებულებების მოპოვების შანსს.
- გაიღრმავეთ საკუთარი ცოდნა: მონაწილეობა მიიღეთ სექსუალური ძალადობის საკითხებზე გამართულ ტრენინგებში.